საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე
ოქმი #21 21.11.2025 წ.

თელავი

2025 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოთა ორგანიზებისა და ჩატარების, მათი კახეთის რეგიონულ არქივში გადასაცემად მომზადების მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 07 ივნისის N634416 ბრძანებით შეიქმნა დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისია(ცვლილება ბრძანებაში N497454; 07.05.2025).

2. დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ;

3. დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისია ხელმძღვანელობს ,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“, საქართველოს კანონით, ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ'',საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N 174 ბრძანებით, წინამდებარე დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის ფუნქციები

კომისია ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

1. საქმისმწარმოებელ და არქივის თანამშრომელთან ერთად ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას, (განაცალკევებს ერთმანეთისაგან მუდმივად შესანახს, პირად შემადგენლობას და გასანადგურებლად გამოსაყოფ საქმეებს) ახორციელებს კონტროლს საქმისწარმოებაზე.

2. განიხილავს და გადაწყვეტილებები გამოაქვს მოწონებისა და დასამტკიცებლად ან შესათანხმებლად წარდგენის შესახებ.

ა) მუდმივ შესანახ, ხანგრძლივად შესანახ და პირადი შემადგენლობის საქმეთა ანაწერებზე.

ბ) გასანადგურებლად გამოსაყოფ იმ საქმეთა აქტებზე, რომლის შენახვის ვადა ამოწურულია.

3. მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის, საქმეთა ნომენკლატურის და დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის დებულებების შემუშავებასა და განხილვაში.

4. განიხილავს წინადადებებს ტიპობრივი დოკუმენტების ნუსხასა და მოქმედ ნომენკლატურაში გაუთვალისწინებელი დოკუმენტების შენახვის ვადების დადგენის თაობაზე და გამოაქვს გადაწყვეტილებები მათი კახეთის რეგიონულ არქივში შესათანხმებლად წარდგენაზე.

5. საქმისწარმოებასთან და საარქივო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებს უწევს უნივერსიტეტის თანამშრომლებს.

მუხლი 3. დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის უფლებები

კომისიას უფლება აქვს;

1. არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად მისცეს თანამშრომლებს მითითება საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ორგანიზაციის, მათი შემფასებელი ექსპერტიზისა და შემდგომი შენახვისათვის გადასაცემად მომზადების საკითხებზე;
2. სხდომებზე მოისმინოს პასუხისმგებელი პირებისაგან ინფორმაციები დოკუმენტების გაფორმებისა და საქმეთა ფორმირების ხარისხის, საქმეთა აღრიცხვისა და დაცვის უზრუნველყოფის საკითხებზე;
3. ცალკეულ საკითხებზე ექსპერტებად მოიწვიოს დარგის სპეციალისტები, საჭიროების შემთხვევაში კი საქართველოს ეროვნული არქივის კახეთის რეგიონული არქივის თანამშრომელი;
4. გამოითხოვოს სტრუქტურული ერთეულებიდან დასკვნები და წინადადებები, ცალკეული დოკუმენტების ვადის შეცვლაზე ან განსაზღვრაზე;
5. ინფორმაცია მიაწოდოს უნივერსიტეტის დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის და კომისიის კომპენტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

მუხლი 4. დოკუმენტების შემფასებელი საექსპერტო კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

1. საექსპერტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს ეროვნული არქივის კახეთის რეგიონული არქივის საექსპერტო შემმოწმებელ კომისიასთან უშუალო კოორდინაციით.
2. საექსპერტო კომისიის საქმიანობა და კომპენტენციის საკითხები განიხილება კომისიის სხდომებზე, რომელიც ტარდება საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.
3. საექსპერტო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი, თავმჯდომარის მოადგილე.
4. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი.
5. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით, აზრთა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა ენიჭება თავმჯდომარეს.
6. სხდომები ფორმდება ოქმებით, ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.
7. საქართველოს ეროვნული არქივის კახეთის რეგიონული არქივის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ აუცილებელ დამტკიცებასა და შეთანხმებას ექვემდებარება:

   ა) უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებები მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ (10 წელზე მეტხანს) საქმეთა ანაწერების მოწონების საკითხებზე;

   ბ) წინადადებები მოქმედ ნუსხებსა და საქმეთა ნომენკლატურაში გაუთვალისწინებელი დოკუმენტების შენახვის ვადების დადგენის საკითხებზე.

8. საექსპერტო კომისიის საქმისწარმოებას უძღვება და მისი დოკუმენტების ფორმირებასა და შენახვას ახორციელებს კომისიის მდივანი. კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში კი, თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი: **/მ. ღარიბაშვილი/**